საქართველოს მთავრობის განკარგულება

№1138 2016 წლის 13 ივნისი ქ. თბილისი

,,ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2016-2017 წწ.) პროექტისა და ,,ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის 2014-2015 წლების შესრულების ანგარიშის" მოწონების თაობაზე

1. მოწონებულ იქნეს ,,ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2016-2017 წწ.) პროექტი და ,,ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის 2014-2015 წლების შესრულების ანგარიში".

2. საქართველოს პარლამენტს წარედგინოს „ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის 2014-2015 წლების შესრულების ანგარიში".

3. „საპარლამენტო მდივნის შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, „ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის 2014-2015 წლების შესრულების ანგარიშის" საკითხზე საქართველოს პარლამენტის საკომიტეტო სხდომებზე მომხსენებლად დაინიშნონ საქართველოს პრემიერ-მინისტრის თანაშემწე ადამიანის უფლებათა დაცვისა და გენდერული თანასწორობის საკითხებში

სოფიო ჯაფარიძე და საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის სამდივნოს ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში (სამსახური) სამსახურის უფროსი ნატალია ჯალიაშვილი.

პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი